პრესრელიზი

ხელნაწერებით გაცოცხლებული ისტორია

7 ნოემბერს, 13:00 საათზე, ქ. თელავში, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თელავის მუნიციპალიტეტთან ერთად, წარმოადგენს საგამოფენო-საგანმანათლებლო პროექტს „მეფე ერეკლე - ხელნაწერებით გაცოცხლებული ისტორია“. გამოფენა გაიმართება თელავის ისტორიული მუზეუმის (მის.: ერეკლე II გამზ. N1) საკონფერენციო დარბაზში.

2018 წელს შესრულდება ერეკლე II გარდაცვალებიდან 220 წელი. მეფესთან დაკავშირებული ორიგინალური მასალა დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მათ შორის, ერეკლეს ავტოგრაფები, მის მიერ გაცემული ნუსხები და სხვ. საგანამანთლებლო გამოფენის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე აქტივობა. ფოტოგამოფენა მოიცავს ერეკლე II მიერ გამოცემულ სიგელებსა და მისი პერიოდის ისტორიული საბუთების წარმოდგენას საინფორმაციო ბანერებითურთ: მეფის ავტოგრაფები, მისი მდივან-მწიგნობრები და ა.შ. ლექციას სახელწოდებით „ერეკლე II - რეფორმატორი, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე“, წარუძღვება ახალგაზრდა პროფესორი, ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი აპოლონ თაბუაშვილი.

აქტივობა „მიულოცე მეფეს“ გულისხმობს მეფე ერეკლესთვის მილოცვის დატოვებას. დაინტერესებული პირები შეძლებენ მილოცვას გრაგნილის სახე მისცენ ჯვალოს თოკის მეშვეობით, შემდეგ გაახურონ „სურგუჩი“ - მასალა, რომელიც საჭიროა „სიგელისთვის“ სამეფო ბეჭდის დასარტყამად, და თვითონ დაბეჭდონ მათ მიერ მეფისთვის გაგზავნილი მილოცვა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის ქართული ხელნაწერების უდიდესი საცავი მსოფლიოში. მას ორი უმთავრესი მიმართულება აქვს - ხელნაწერების დაცვა-აღრიცხვა და მათი მეცნიერული კვლევა. არანაკლებ მნიშვნელოვანი სფეროა ცეტნრში დაცული უნიკალური მასალის პოპულარიზაცია და მისი გამოყენება საგანმანათლებლო-შემეცნებითი მიზნით.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაგიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge